



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.  
**№ 3** 10 იანვარი შაბათი 1898 წ. **№ 3**

**შინაარსი:** დღევანდელი კითხვები 5. ყორღანისა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალის“ კორესპონდენცია. — ჩვენი ქვეყნის ვითარება მ. იესეშვილისა. — სული განდევნილისა. ნეკროლოგი ილია სერებრიაკოვი 3. უ—სა. — მგზავრის შენიშვნები ფ. ფატიშვილისა. — მეცხვარის ნამაობი ესკიზი გ. წერეთლისა. — უმართებულესი სენატის განმარტება ხიზნების შესახებ. — ქუთაისის ბანკის და ვერძო განცხადებანი.

რედაქციის ადრესი: არჯილგორის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამაშაშვილისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

იანვრის ნომერი ჯეჯილი დაიბეჭდა და 12 იანვარს დატურიგდება ხელის მომწერლებს.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

კაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თათო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 102) და თვით „კვალის“ რედაქციაში Артиллер. ул. д. Тамашева возле кадетского корпуса.

ქალაქ გარეთ რედაქციას ყველგან ჰყავს თავისი აგენტები.

კვირას 11 იანვარს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი სიონში ასი წლის თავზე **საქართველოს მეფის ირაკლის მეორის** სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

დღევანდელი კითხვები.

2. კ ა შ ი ტ ა ღ ი.

**მ**ული, როგორც იარაღი ყიდვა-გაყიდვის, საქონლის გაცვლა გამოცვლის, ახალი მოვლენა არ არის. მას ჩვენ ვხედავთ ძველ ქვეყანაში და საშუალო საუკუნოებშიაც. მხოლოდ ამ მხრით თუ შევხედავთ თანამედროვე ხანას, გამოვა, რომ ის არაფრით არ განიზიარება გველილ ხანასაგან. მარა

დღეს არის ერთი რამ ახალი, რაც წინათ არ ყოფილა და რაც ახლანდელი დროის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს. ეს ის გარემოებაა, რომ ყოველივე ნივთი, ყოველნაირი დამოკიდებულება და ურთიერთობა ფულის სასწორზე გადის, ფულათ ანგარიშობენ. ყველაფერს ფულით მიეცა ღირებულება, ყველაფერმა ფულში გამოხატა თავისი ღირსება. ყოველივემ—არის ეს უბრალო ნივთიერება თუ ადამიანის უმაღლესი თვისება—ფულის ჭაზრაკში გაპყო თავი. ერთი სიტყვით ფული შეიქმნა ცხოვრების ჩარხი და თავის გარშემო ატრიალებს ქვეყნიერებას. ეს მთელი სისტემაა, ეს მთელი წყობილებაა, ეს სრულიად განკერძოებული ხანაა. საიდან წარმოდგა ასეთი ღრმა ცვლილება? ნუ თუ ფული, ე. ი. უბრალო ლითონი ასეთი სასწაულმოქმედი? არა, ფული არ არის ამ ცვლილების მიზეზი, პირიქით, ეს ცვლილებაა ფულის არსებობის მიზეზი. ფულის ტრიალის განვითარება—ეს საქონლის ტრიალის განვითარებაა, ხოლო საქონლის ტრიალი მოასწავებს ერთი მხრით გამყიდველს და მეორე მხრით მყიდველს. ეს კი ერთიანად დამოკიდებულია შრომის განვითარებაზე და განაწილებაზე, ე. ი. ერთი ამზადებს ერთგვარ ნივთს იმდენს, რომ მისი გაყიდვით ყველა თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. ამით ჩვენ მივაღწევთ საწარმოვო ძალ-ღონის აღორძინებას. მაშასადამე ფული ამ საწარმოვო ძალის აღმნიშვნელი და გამომხატველია. მასში თავს იყრის მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეს ის ფოკუსია, სადაც იკრებება და საიდანაც გამოკრთის მთელი დღევანდელი სოციალური ორგანიზაცია. ფული თავის თავათ კიდევ ვერ არის კაპიტალი. ფული, ქისაში შენახული ან და ქვევრით მიწაში ჩაფლული, ფულია, მარა კაპიტალი კი არა. მხოლოდ მაშინ, როცა ის წარმოებაში გადადის და ზედ მეტ ფულს იგებს—ხდება კაპიტალათ. ცხადია, კაპიტალის ჩასახვა, ზრდა და გამრავლება მკიდროთ შეკავშირებულია წარმოების ზრდას და განვითარებასთან. კაპიტალი მდგომარეობს წარმოებაში და წარმოება კაპიტალში. აი, რატომ დღევანდელი წარმოება კაპიტალისტური წარმოებაა და ზედ აშენებული წყობილება კაპიტალისტური წყობილებაა.

დღევანდელ საწარმოვო კაპიტალს დასაბამი სავაჭრო კაპიტალმა მისცა. ჯერ კიდევ ფეოდალურ ქერქში ფეხი აიდგა და გაძლიერდა ვაჭრობა და აღებ-

მიცემობა. ამან გამოიწვია მიმოსვლის გაუქმების და უფრო მშვიდობიანი წესების დამყარება. აღორძინდნენ ქალაქები, გაფართოვდა ბაზარი, გაჩაღდა ვაჭრობა. ამან ამოძრავა სოფელი, გადაასხეაფერა მეურნეობა, მისცა ბაზარი სოფლის ნაწარმოებს და ქალაქისაგან დამოკიდებულათ გახადა. სოფელი უქალაქოთ ვეღარ ცხოვრობს. ამნაირათ, ეკონომიური განვითარების ღერძათ ქალაქები გადაიქცენ, ხოლო მის მეთაურათ და წინამძღოლათ ვაჭრები, ანუ ბურჟუაზია. ბურჟუაზიის ინტერესია რაც შეიძლება მეტი საქონელი გასაღოს და მეტი მოიგოს, ამისათვის კი აუცილებელია დიდი ბაზარი, როგორც შინ, ისე გარეთ. ბრძოლა ბაზრისათვის—აი, რა დააწერა მან თავის დროშაზე. რაც უფრო დიდია მისი სამშობლო და რაც უფრო ძლიერია მოთხოვნილება გასაყიდ საქონელზე, მით უფრო დიდია მისი ბაზარი, მით უფრო ვრცელია კიდევ-გაყიდვა. აქედან იშვა ბურჟუაზიის მიღრეკილება სამშობლოს გაფართოების და განვითარებისაკენ. მეორე მხრით, რაც უფრო ძლიერია მისი სამშობლო და მისი ეროვნული მთავრობა, მით უფრო დაცულია ის შინაურ ცარცვა-გლეჯისაგან და გარეშე მოცილებთაგან. მას მსოფლიო ბაზარზე ძლიერი მფარველი ჰყავს. აქედან—მისი ლტოლვილება ნაციონალურ ერთობის და ნაციონალურ სახელმწიფოსაკენ. ბურჟუაზია განაცონანლისტდა ბურჟუაზიული განვითარება თანამედროვე ნაციონალური განვითარებაა. „Nation une et indivisible“—ერი ერთი და განუყოფელი—აი, რა შეიქმნა მის სახელმძღვანელო აზრათ და ეს არის იმავე დროს სახელმძღვანელო აზრი მთელი ერის. ბურჟუაზია, მე-ბრძოლი ახალი წყობილებისათვის, გახდა პროგრესიულ კლასათ. მისი მოძრაობა ფეოდალური წყობილების პირდაპირი უარის ყოფაა; მისი ყოველდღიური საქმიანობა ძირს უთხრის ციხე-კოშკების საქმიანობას, მისი ნაციონალური იდეა ეწინააღმდეგება პროვინციალურ შენ-ჩემობას. ამიტომ ბურჟუაზიის კერძო კლასიური მიღრეკილება არის მთელი ცხოვრების და მაშასადამე მთელი ხალხის მიღრეკილება. მისი შეხედულებები და აზრები ხდება მთელი ერის შეხედულებებათ და აზრებათ. ამით ის მეთაურობს, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებას. ასე და ამნაირათ იშვა ნაციონალური სახელმწიფო, დაიბადა თვით ნაციაც, აღორძინდა ნაციონალური



პოლიტიკა, ეკონომია, მწერლობა, ხელოვნება და სხ. ერთი სიტყვით, მიზნულ-მიზნულ ხალხის ნაწილებმა ერთათ მოიყარეს თავი და საისტორიო უღელში ერთათ შეებნენ.

სანამ ერთი პატრიარქალურ და თავად-აზნაურულ წყობილებაშია, მანამ ის, განუფითარებელი ეკონომიურათ, განუფითარებელია ნაციონალურათაც. აქ მეფობს პროვინციალური, სოფლური ნაციონალიზმი. მხოლოდ მისი განათლებული ნაწილი, ანუ ინტელიგენცია, გამოდის სამშობლოს ბედ იღბალის დამტირებლათ და მეტრძოლათ. მარა მისი დროშა არის მხოლოდ უჯარო სარდალთა დროშა. მისი ლტოლვილება მისი საკუთარი ლტოლვილებაა. ეს რომ შეიქმნეს მთელი ერის, ან და ერთი რომლისამე კლასის კუთვნილებათ, საქაროა პირველ ყოვლისა ღრმა ეკონომიური და სოციალური ცვლილება. . .

ქართველი ახალ ფენ-ადგმული ბურჟუაზია შეეტაკა უცხო ტომთა ბურჟუაზიას, განსაკუთრებით სომხობას და ორივე მხრით მორთეს ყვირილი: გვაშველეთ, სამშობლო ილუპებაო! აქაც უნდა მოხდეს ის, რაც სხვაგან მომხდარა. ფიქრი იმაზე, რომ სომხის ბურჟუაზია ქართველ ბურჟუაზიას განვითარებას შეაჩერებს და მით მთელი ერის აღორძინებას ერთ წერტილზე გააყინებს, ისეთივე ოცნებაა, როგორც ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება და ბოლოსი თავათ გადაქცევა. როცა ერთი კაპიტალიზმის გზაზე შედგება, მისი იქიდან გამოკლება ან და უკან დახვევა ყოველად შეუძლებელია. მან უეჭველათ მთელი გზა ბოლომდე უნდა გაიაროს.

აი, ასეთ პირობებში, ასეთ ბრძოლაში და ნგრევა-რყევაში ვითარდება შრომა, მატულობა ენერჯია, მრავლდება მოთხოვნილება და გროვდება კაპიტალი. კაპიტალის განვითარება — ეს ბურჟუაზიის ძლევა-მოსილი წინმსვლელობაა. ეს არღვევს ძველ ფეოდალურ და პატრიარქალურ ურთიერთობას, სპობს შთამომავლობითი და მამა-პაპურ უპირატესობას, აქრობს ძველებური იარაღებით წარმოებას, ეწინააღმდეგება უცხო ტომთა ბურჟუაზიას და წყებულობს ნაციონალურ ბრძოლას. ყველა ეს აუცილებელია მისი ზრდის და წარმატებისათვის. ეს არის იმავე დროს ზრდა და წარმატება მთელი ერის. ასე მყარდება ბურჟუაზიის ბატონობა. მარა ამასთანავე მის არსებაში ვითარდება ერთი ისეთი კლასი, რომლის ეკონომიური ინტერესი პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ინტერესს და რომელთა შორის იწყება სამკედრო-სასიკოცხლო ბრძოლა.

ვინ არის ეს?

ნ. ყარაღანა.

სხვა-და-სხვა ამბავი.

**ქ**ოველ კასპის (გორის მაზრაში) მცხოვრებთ განჩინება დაუდგენიათ, დაიხუროს ყველა დუქნები როგორც სოფელში ისე სადგურთან და სამაგიეროთ გაიხსნას ერთი სავაჭრო სახლი, რომელიც გაიცემა იჯარით 3000 მანეთათ. ეს დუქანი იქნება მთელი სოფლის ზედა-მხედველობის ქვეშ და ყოველგვარი საქონელი, თვილისიდან მოტანილი, უნდა იყიდებოდეს თვილისის მაზანდით. სოფლის ყრილობამ აირჩია კომისია, რომელიც ტაქსას დააწესებს ხორცზე.

11 იანვარს სრულდება ერთი საუკუნე მას შემდეგ, რაც მეფე ირაკლი გადაიცივალა. ეს პირველი მეფეა, რომელმაც საქართველოს რუსეთთან შეერთების საძირკველი ჩაყარა. მისმა შვილმა, გიორგი მეცამეტემ, მხოლოდ მამის ანდერძი შეასრულა.

სოფ. ტირძინის (გორის მაზრა) გლეხებს ბატონის თანხმობით მიუმართავეთ ხაზინისთვის და უთხოვიათ რომ დღიურზე 30 მ. ჩააბაროს ბატონს ღმით დაეხმაროს ნადელების გამოყიდვის საქმეს. ხოლო ამ ვალს ისინი, შემდეგ განთავისუფლებისა, ნაწილ-ნაწილათ ხაზინას დაუბრუნებენ.

ბაქოს მუშათა მდგომარეობა „კასპის“ სიტყვით ძალიან სამწუხარო პირობებშია. ყოველ დღე ჩივიან იმის შესახებ რომ დღიურ ქირას აკლებენ, ანგარიშში ატყუებენ ან და სრულებით არ აძლევენ. უმრავლესობა იძულებულია სასამართლოს წესით ეძიოს თავისი ნამუშევარის ჯილდო, რაიცა მთელი თვეობით გძელდება და ამ ხნის განმავლობაში მუშები ულუკმავროთ რჩებიან.

ბ.ნ. გ. ქურულს შეუდგენია მოხსენება თვილისში ერობის შემოღების შესახებ და გარდაუცია ამისათვის არჩეულ თავად-აზნაურობის კომისიისათვის. მოხსენებაში ანუხსულია მომავალ ერობის ხმოსანთა რიცხვი წოდების დაგვრათ. ყველაზე მეტი რიცხვი თავად-აზნაურობიდან იქნება.

ბრილელ გლეხთა გამართლება, რომელთაც დიასამიძის მოკვლა ბრალდება, იკისრა ნაფიც ვეჟილმა ყარაბეგოვმა, რისთვისაც სასამართლო პალატაში აპელაცია უკვე გადაიტანა.

ამ დღესასწაულებზე ფოსტის საქმეთა მსვლელობა ძალიან შერყეულა. 27 დეკემბერს ბათომიდან

გამოგზავნილი ფული მხოლოდ შეიდ იანვარს მივიღეთ და ესეც შემდეგ დიდი ხნის ძიებისა. ასე დაგვიგვიანდა მრავალი სხვა პაკეტები და ზოგი უბრალო წერილი, როგორც ჩანს, სრულიადაც დაკარგულა. საჭიროა ამ საკანს ყურადღება მიექცეს.

სოხუმის ახლათ ამორჩეულ დეპუტატთ განუცხადებიათ, რომ ქალაქის საქმეები ისეთ არეულ-დარეულათ დაუტოვებიათ მათ წინამოადგილეთ, რომ ამის დაწყობისათვის საჭიროა განსაკუთრებითი მოხელე იყოს გამოგზავნილი ბ-ნი გუბერნატორის მიერო.

ბ-ნ მთავარ-მართველმა ცირკულიარებით დაავალა თფილისის გუბერნიის მაზრის უფროსთ, მიაქციეთ განსაკუთრებითი ყურადღება იმას, რომ სახელმწიფო გლეხთა მიწა-ადგილი არ გადადიოდეს ისეთ პირებზე, რომელნიც სოფლის საზოგადოების წევრნი არ არიანო.

ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას განსახილველათ აქვს ამჟამათ კითხვა: გაიხსნას თუ არა ქ. ოზურგეთში სავაჭო გემნაზია. ამ მოკლე ხანში ია ამის შესახებ მოხსენებას თავისი დასკვნით წარუდგენს მთავარ-მართველს კანცელარიას.

მომავალ გაზაფხულიდან შეუდგებიან ვიწროლიანდაგიან რკინის გზის გაყვანას საღ. შავ-მდინარიდან სოფ. ბაკურაიანამდის (ივერია).

6 იანვარს „თფილისის კრუჟოკში“ სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოთ გამართულ ბალისაგან 2,300 მანეთამდე შემოვიდა.

14 იანვარს ბათომში გაიმართება ჩვეულებრივთ ქართული საღამო წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ.

„კვალის“ კორესპონდენცია.

**ს**ოფ. სურკები (გურია). დიდი თავზარი დასცა ამ ოთხმოცდა ჩვიდმეტმა წელმა უიმი-სოთაც დაცემულ, დაქვეითებულ სურებლებს განსაკუთრებით მიწის მუშას, რომელიც ყოველ მოთხოვნილებას მიწის მოსავლიდან ისტუმრებს. სოფლის მეციდრნი ძრიელ მაგრათ ხელჩაჭიდებულნი არიან მიწის მუშაობაზე; სიმინდი, ლომი, ღვინო, თუთუნი, ყოველ ოჯახს დღემდის ბლომათ მოჰყავდა. საყოფს იტოვებდა ოჯახში, ზედ მეტს ჰყიდდა და

სხვა-და-სხვა მოთხოვნილებას ისტუმრებდა, მაგრამ დღეს ყველა ამაზე ხელ აღებულა. ოთხმოცდაჩვიდმეტმა წელმა არია მონასტერი, დაუბნა დაეთარა სურებლებს, ბევრს ეცადენ საწყობები, არ დაზოგეს შრომა, ჯათა, მიმართეს ყოველ ნაირ საშვალეებას, ებრძოდეს ბუნებას, მაგრამ სულ ამათ ჩაიბრა, ვერას გახდენ, დარწმუნდენ მხოლოთ, რომ როცა ბუნება ეწინააღმდეგება, უნაყოფოა შრომა! — რა იყო, რა მოგივიდათ?! — იკითხავს გაკვირვებით მკითხველი; მოგახსენებთ: 1897 წელში, როგორც იყო გადავრჩით ზამთარს, დადგა გაზაფხული, მიჰყვეს ხელი მიწის მუშაობას, დაწმინდეს, დაისუფთავეს ყანები და დათესეს: სიმინდი, ლომი, თუთუ ი და სხვა-და-სხვა, გაათავეს თუ არა თესვა, ბუნებამ იწყინა ეს, დაიწყო ელევა, მოჰყვა მას ქუხილი და „კოკი-პირული“ წვიმა, ატყდა „ნიღვარი“, რომელმაც ბოლო მოუღო ახალ დათესილ ყანებს, — დახვეტა, დარეცხა ისე, რომ ვერ იშოვნიდით ყანაში ერთ დათესილ მარცვალს წამლათ, უნდა დაეთესათ მეორე ხელ, მეტი რა ღონე იყო, და კიდევაც ასე მოიქცენ; მერმე მოსავალს კარგი პირი უჩანდა, სოფლის მეციდრნი დიდ სიხარულში იყვენ, მაგრამ ეს სიხარული არ დარჩა ხანგრძლივი, ისევ ტირილათ შეეცვალათ საწყობებს — შენახვა ვერ მოასწრეს, დაურჩათ ხარობე-ღელი ცარიელი, აი რისთვის: მთელი ოქტომბერი იწვიმა, მუშაობა არ შეიძლებოდა (განსაკუთრებით სურებში, ფერდო ადგილია და ვერ გაივლი), პირველ ნოემბერს მოვიდა თოვლი ორ არშინამდის, რომელმაც შეინახა ჭირნახული ყოველივე ჩვენდა უკითხვათ და ნება დაურთველათ. ვფიქრობდით — დადნება თოვლი და სანახევროთ მაინც ეიშოვნით, მაგრამ ტყუილი იმედი დაგვიჩა, თოვლს არ აკლდება, დეკემბერმა კიდევ დაუმატა არშინ ნახევარი თოვლი და დაგვიშრო წყალი — დავრჩით უქადოთ, უღომოთ, უღვინოთ, უთუთუნოთ და სხვა, მაგრამ ყველა ამას ვინ დაეძებს, რომ შინაური პირუტყვი: ძროხა, ცხენი, ხარი და სხვა შიმშილით არ გვეხოცებოდეს, ჩალა არ არის, ბევრს მიყავს საქონელი შორეულ სოფლებში და იქ აბარებს გამოსაკვებათ; ზარალი დიდია. ამ ნაირ გაჭირვების და ქესატობის დროს სურების ახალ-გაზდობამ მოჩახა საშუალება ცხოვრებისათვის — მიჰყვეს ხელი ცარცვა-გლეჯას, ყაჩაღობას. საქებარი და მოსაწონი ამ ვაჭბატონებს ის აქვთ, რომ თავის სოფელს არას აკლებენ, მიდიან სხვა-და-სხვა სოფლებში, მოშორებით, და იქ აყენებენ შავ დღეს, თუ ვისმეს შეამჩნიეს ორი გროში. წელს ზაფხულში გაცარცვეს მწყემსები საბალახო მთებზე, მოიპარეს ცხენები და სოფელში დაყარეს ხმები: „ფირალებია მთაზე, თათრებია“ პოლიციამ

დაიწყო ძიება და ბოლოს ვერა ამოაჩინა რა. გამო-  
ჩვეულმა და გაწრთენილმა ასეთ საქმეში სურების  
ახალ-გაზდობამ განაგრძო მოქმედება თავის სარ-  
ბიელზე.—ნომბრის ცხრაშვიტს ორი სურებელი და  
ორი იმერელი (შემოდგომაზე ჩვენში მოდიან იმე-  
რეთიდან ხერხზე სამუშაოთ) წაიღენ შორაპნის  
მაზრაში, მივიდენ თავის სოფელში და 21-ს გაცა-  
რცვეს შორაფნის მაზრის მცხოვრები გლეხი ცერცვაძე,  
რომელსაც წაართვეს ფული და ტანისამოსი. ერთი  
იმერელთაგანი დაიჭირეს იქვე, რომელმაც დაასახელა  
ამხანაგები. გამოძიება წარმოებს, რაინდები დიდ ფაცა-  
ფუტში არიან, ცრუ მოწმეს ეძებენ, აღვილობრივი  
პოლიცია, მგონი, ამ მოწმეების შოვნას უცდის,  
რომ გამოძიებას არ აჩქარებს.

ამ ნაირათ, დიდ გაჭირვებაში არიან სურებლები.  
ბევრი სამწუხარო და სადარდელი მოვლენანი და-  
ტრიალებენ მათ თავს, მაგრამ ბოროტებას მაინც  
ებრძვიან, თავს არ უდებენ, გამოიღვიძეს, სწავლა-  
განათლებას სიხარულით ეგებებიან, ცდილობენ ახ-  
ლა სულით და გულით, რომ სხვა სოფლებს, თუ  
არ აჯობებენ, უკან მაინც არ ჩამორჩენ, აი მაგა-  
ლითათ: წელს ზემო და თავ-სურებში დაარსეს სა-  
მრელო სკოლები, სადაც სწავლაა გაჩაღებული,  
ზემო სურებს სკოლასთან დაარსეს სიმინდის მალაზია  
და ახლა განზრახვა აქეთ დაარსონ სასოფლო ბანკი.  
იმედი გვაქვს, რომ გაუჩნდებიან ამ საქმესაც ისეთი  
პირები, რომლებიც განზრახვას საქმეთ აქცევენ; სა-  
სიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ  
სურების მამასახლისი, ბ-ნ მ. რამიშვილი, ხელს უწყ-  
ობს და ეხმარება საზოგადოებას სწავლა-განათლე-  
ბის და სხვა კეთილ საქმეებში, იმედია, მომავალში  
უფრო მხნეთ იშრომებს სოფლის მკვიდრთა მდგომარ-  
ეობის გაუმჯობესობისათვის.

გ. მაგდანქვილი.

### ჩვენი ქვეყნის ვითარება.

**ჩ**ვენი ქვეყნის აზროვნების მსვლელობა შე-  
დის იმ გვარ ხანაში, რომელიც მომასწავე-  
ბელია უმჯობესი მომავლისა, წარმატებისა,  
და პროგრესისა.—მას აქეთ, რაც საქართველოს აზ-  
როვნება გაცხოველდა, ესე იგი მესამოცე წლები-  
დან მოკიდებული, ჩვენი მწერლობა და საზოგადო

განვითარების საქმე თან და თან იკვლევდა გზას და  
შეძლების და გვართ აფართოვებდა თავის სარბიელს  
ჩვენი ძველი მწერლებისა და მოთავეების უმთავ-  
რესი ყურადღება იყო მიქცეული სწავლა-განათლე-  
ბის გავრცელებაზე და კითხვის სურვილის აღძრავზე  
მთელ საზოგადოებაში. ეს მიზანი შეადგენდა ჩვენი  
მოღვაწეების უწრფელეს მისწრაფებას, რომელიც  
ამაღლებდა მათ მოღვაწეობას და აძლევდა მათ მხნე-  
ობასა და ძალას. თუ რამდენათ მიუღწევია ჩვენ  
მოღვაწეებს ამ მიზნითვის, ამას ცხადთ გვიმტკიცებს ახ-  
ლობელი წარსული და აწინდელი მდგომარეობა  
ჩვენი ქვეყნის აზრის განვითარებისა და მწერლობის  
გაძლიერებისა. თუ ათი ანუ თხუთმეტი წლის წინეთ  
ქართული წიგნის გამოცემა შეადგენდა ჩვენ ცხო-  
ვრებაში იშვიათ და გასაკვირველ მოვლენას, სამაგი-  
ეროთ ახლა ქართულ ენაზე წიგნის დაბეჭდვა წარ-  
მოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას, რომელიც სრუ-  
ლიად არაფის არ აკვირებს. გარდა ამისა თვით ში-  
ნაარსი ჩვენებური წიგნებისა ახალი მოთხოვნე-  
ლებათა მიხედვით თან და თან იცვლება და სხვა-  
ფერდება. წინეთ იბეჭდებოდა უფრო ბელლეტრის-  
ტული ხასიათის წიგნები, რადგან ამ გვარი წიგნები  
უფრო აკმაყოფილებდა მკითხველთა სურვილის.  
ჩვენ დროში კი საზოგადო მოთხოვნელებანი უფრო  
გაფართოვდენ, მკითხველ საზოგადოებაში დამყარდა  
უფრო გაწრთენილი გემოვნება წიგნების კითხვისა, და  
ამც გამო მართა ბელლეტრისტული და ხელოვ-  
რული ხასიათის წიგნები ვერ აკმაყოფილებს მკითხვე-  
ლებს. ამ უკანასკნელთ ცხოვრების მიხედ-  
ვით ებადებათ იმ გვარი კითხვები, რომელ-  
ნიც მოითხოვენ უფრო სერიოზულ და მოთქრე-  
ბულ ტენის ნაწარმოებს. ამით აიხსნება ის გარე-  
მოება, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს ბლომათ იცე-  
მება მეცნიერული წიგნები, რომელნიც თან და თან  
ერცელდებიან საზოგადოებაში და ყველგან იწვევენ  
ინტერესს და თანაგრძნობას. თუმცაღა, ჩვენ და საუბე-  
დუროთ, ახლაც ვხვდებით ჩვენ საზოგადოებაში იმის-  
თანა პირებს, რომელნიც მეცნიერულ წიგნებს ქარ-  
თულ ენაზე უსარგებლოთ სთვლიან, მაგრამ ამ გვარმა  
გარემოებამ სრულიად არ უნდა შეგვაჩეროს ჩვენ ამ  
გვარი წიგნების მნიშვნელობის დადგენაში. თვით  
ბუნებისა და კაცობრიობის განვითარება ცხადთ  
გვიჩვენებს, რამ ყოველი ნათელი ქეშმარიტება და

წრფელი მოღვაწეობა და განზრახვაც იწვევს ზოგიერთ პირთაგან თანამედროვე საზოგადოებაში ნამდვილ წინააღმდეგობას და ბრძოლას. ეს ისტორიული კანონია საზოგადო განვითარებისა.

თვით ადამიანის ბუნება იმ გვარი რთული რამ არის, რომ არავითარ ცხად ჭეშმარიტებას არ შეუძლია მოახდინოს ყველაზე ერთნაირი შთაბეჭდილება და ზედმოქმედება.—რაც შეეხება იმ კითხვას რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, შესახებ ქართულათ გამოცემული მეცნიერული წიგნების მნიშვნელობისა, ჩვენ ჩვენი მსჯელობა და შეხედულობა უნდა დავამყაროთ უმრავლესობის მოთხოვნილებათ, რომელიც უწინარეს ყოვლისა თხოულობს მეცნიერულ წიგნებს თავისი უმთავრესი საკითხის ასახსნელათ. ჩვენი მკითხველი საზოგადოების ასეთი მოთხოვნილება, რასაკვირველია, დამყარებულია ახლანდელი ჩვენი ცხოვრების უმთავრეს მიმდინარეობათ. ახლანდელა დრო ჩვენი ქვეყნის აზროვნების მსვლელობისა სწორეთ მეტათ შესანიშნავი ხანაა, რომელზედაც უნდა იყოს მიქცეული ჩვენი განსაკუთრებითი ყურადღება.

ყოველი მოვლენისა და მდგომარეობის სერიოზულათ და მეცნიერულათ ახსნა შეიძლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ მას შევადარებთ კაცობრიობის საზოგადო მიმდინარეობას. ყოველი სოციალური წარმატება რომელიმე ხალხისა ანუ სახელმწიფოსა ხდება თან და თან და სხვა და სხვა ნაირი ცვლადების შემდეგ მიღწევს უმაღლეს წერტილამდე. ამასთანავე კაცობრიობის აზროვნების წინ სელა იმაში გამოიხატება, თუ რამდენათ მეტ რიცხვზე ახდენს შთაბეჭდილებას და ზედმოქმედებას ერთი რომელიმე განსაზღვრული მიმართულება ანუ აზრი, ესე იგი რამდენათ უფრო მრავალია რიცხვი ერთი მიმართულების მომხრეებისა. ამ ნაირათ ერთი რომელიმე მოძღვრების ამღიარებელნი შეადგენენ იმ გვარ საზოგადო ჯგუფს, რომელსაც შეუძლია იქონიოს დიდი გავლენა და მნიშვნელობა აზროვნების მსვლელობისა და საზოგადო განვითარების საქმეში, მაგრამ რადგან აზრი და მიმართულება საზოგადოთ ყოველთვის სხვა და სხვა ნაირია, ამისათვის იბადება ბრძოლა სხვა და სხვა ჯგუფებს შორის, აზრის და მიმართულების შეტაკება, რომელიც მომასწავებელია საუკეთესო მერმისისა. ამ გვარ ბრძოლაში ირკვევა ღირსება და ნაკლებულებანება სხვა და სხვა მიმართულებისა და საზოგადოებას ეძლევა საშუალება უფრო ნათლათ და გრცლათ დაინახოს სიმართლე და ჭეშმარიტება.

აქედან ჩანს, რომ ყოველ გვარ ბრძოლას აზროვნების ნიადაგზე ჰქონებია დიდი მნიშვნელობა საზოგადო წარმატებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობა წარმოგიდგენს იმ გვარ ხანას საზოგადო აზროვნების მსვლელობისას, როდესაც ხალხში მყარდება თვითცნობიერება, შეგნება თავის მდგომარეობისა და იძრება იმისი განკარგების სურვილი. ამ გვარ შემთხვევაში ადამიანი კრიტიკული თვლით შეპყურებს თავის წარსულ და აწინდელ მდგომარეობას, უფრო მეტი სიფრთხილით ეპყრობა თავის მოთავეებს და კერძო პირთა ყოველ გვარ მოღვაწეობას. ეს არის ხანა საზოგადოთ ტენის გაღვიძებისა და აზროვნების გაცხოველებისა. საზოგადოება იღვიძებს, ის უფრო ეტანება ტენის განვითარების საქმეს და ეჩვევა წიგნების კითხვას. სწავლის და განათლების შეძენა, მეცნიერების შეგნება, აზრის განვითარება ხდება სულის უმთავრეს მოთხოვნილებათ. იხსნება ბლომათ სკოლები, წიგნთ-საცავები და სამკითხველოები, წიგნები ხალხში რიგიანათ ვრცელდება; ვრცელდება აგრეთვე რიცხვი მეცნიერების მკოდნე პირთა, რომელნიც საღ საზრდოს აძლევენ ჩვენ ჟურნალ გაზეთებს.

ამ გვარ საზოგადო გაღვიძების დროში ჩვენ ვხედავთ უფრო სანატრელ მოვლენას, რომელიც კიდევ უფრო სარწმუნო თავდება მომავლის წარმატებას: ირღვევა ძველი მიმართულება აზრისა და მოღვაწეობისა და მზადდება ნიადაგი ახლისათვის. აი ამაში გამოიხატება ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის უმთავრესი ხასიათი.

მაგრამ ძველი მიმართულების დარღვევა და ახლის გამოკვევა უცბათ არ ხდება. როცა ახალი მიმართულება თავს იჩენს და თან და თან იზრდება, მაშინ კიდევ ძველს დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობა ისპობა მხოლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადათ ყველასათვის მტკიცდება მისი სრული უვარგისობა და უნაყოფობა.—ჩვენი ძველი მოთავენი თამამათ და მეტის ღირსებით სხედან ერთხელ მოპოვებულ ალაგზე და ყოველი ღონის ძიებით ამტკიცებენ, რომ ჩვენში ახალ მიმართულებას ჯერ თავი არ უჩენია. რასაკვირველია, მათ ღალადს არ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა, მკითხველი საზოგადოების უმრავლესობა რომ მათი ჩვეულებრივი ამყოლი არ იყოს. ეს უმრავლესობა ჩვეულებისამებრ, საქმის განურჩევლათ, ემორჩილება მათ და ამით უფრო აძნელებს ახალი მოძრაობის დამკვიდრებას. რომ ჩვენში ახლა აზროვნების მსვლელობა შედის ახალ სფერაში და აფართოებს თავის სარბიელს, ამის დამამტკიცებელია

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი არსებობა, მთელი ჩვენი ცხოვრების ახლანდელი ვითარება. ეს გარემოება ისე ცხადათ დასაწახანია, რომ იმისი უარყოფა ეთანასწორება მეტათ ნათელი საგნის უარყოფას. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა, რომელიც ამ ახალ მიმართულებას არ ამჩნევს, ამითი ამტკიცებს თავისი გონების სილატაკეს და უფიცობას. თუ ამით არა, მაშ რითი უნდა აიხსნას უარყოფა იმ გვარი მოვლენისა, რომელიც მუდამ თვალწინ გვიდგია, რომელსაც თვით ჩვენი ახლანდელი ცხოვრების მიმდინარეობას სიღრმეში აქვს საფუძველი და რომელიც გამოწვეულია მოწინავე კაცობრიობის აზრის მოძრაობით. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ისეთი სიადვილით ეპყრობა თავის გონების განვითარების საქმეს, რომ არც კი იღებს თავის თავზე შრომას ცოტათი მაინც განიხილოს და გაარჩიოს ის, რითაც მას უმასპინძლებიან ჩვენი ქურნალ-გაზეთები, რასაც მას აწოდებენ ჩვენი „კურთხეულნი“ მწერლები და მოთავეები. ეს უმრავლესობა მინდობილია ორ-სამ მოღვაწეზე ანუ მწერალზე, რომელთა აზრი და შეხედულობა შეადგენს მისთვის შეურყეველ და ნათელ ჭეშმარიტებას. რასაკვირველია როდესაც ამ გვარი კერპთაყვანის მცემლობა გავრცელებულია საზოგადოებაში, იმ შემთხვევაში ყოველი კერძო პირის მიერ გამოთქმული განცალკევებული აზრი და შეხედულობა იწვევს საზოგადოებაში დიდ წინააღმდეგობას და სიძულვილს. თვით ჩვენი ძველი მოთავეები, რომელნიც მეტის მეტი გასათუთებულნი არიან საზოგადოების განუხანძრელი ნდობით, ყოველი ღონის-ძიებით ცდილობენ დაიცვან თავისი მდგომარეობა და დაამკვირონ ახლათ გამოსულ პართა მოღვაწეობა. მაგრამ ჩვენი ძველი მოთავეები უთუოთ განგებ იკონებენ თვალების სიბრმავეს, რომ სახეებით დაიცვან თივისი უპარატესობა და „დიდებით მოსილი“ მნიშვნელობა. ნუ თუ ისინი გულ წრუვლათ და სინიღისის სიწმინდით გაიძახიან, რომ საქართველოს ბედ-იღბალი მათზე არის დამყარებული და მათი ასპარეზიდან ჩამოსვლა უნდა ეთანასწორებოდეს ჩვენი ქვეყნის გონების განვითარების მოსპობას. ამ გვარი მედიდურობა და სიამაყე ჩვენი ძველი მოთავეებისა სულ მთლათ დამოკიდებულია იმ კერპთაყვანის მცემლობაზე, რომელიც შეადგენს ჩვენი საზოგადოების უმთავრეს სენს. ჩვენ ვართ მარტო, იძახიან. — ჩვენი დაწყებულია საქართველოს გონების განვითარება და ჩვენი თუნდა გათავდესო.

მაგრამ, საბედნიეროთ, ტვანის გაღვიძებას და მოძრაობას იმ გვარი თვისება აქვს, რომ ვერაერთარა მიზეზი და ხელ შემზღველი გარემოება ვერ სპობს

მას. რაც უნდა ბევრი იყვირონ ჩვენმა მოთავეებმა, რაც უნდა ბევრი ტყვია-წამალი ხარჯონ, მაინც არა თუ ვერ მოსპობენ, ოდნავაც ვერ შეჩერებენ იმ მოძრაობას, რომელმაც ჩვენში უკვე იჩინა თავი და რომელიც თან-და-თან იზრდება და მაგრდება. თვით ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მოძრაობა, რომელზედაც ჩვენ გვინდა მივაქციოთ აქ მკითხველის ყურადღება, გამოწვეულია ძველი მიმართულების უვარგისობით და ახლის საჭიროებით. ძველი მოთავენი და მწერლები ძველი მიმართულებით და ძველი ლიტერატურული ფორმებით ასაზრდობენ საზოგადოებას. აზრის ახალი მოძრაობა კი თხოულობს, რომ სხვა-და-სხვა საგნებს შორის, რომელთაც ადამიანის განვითარების საქმეში მნიშვნელობა აქვთ, უპირატესობა მიენიჭოს უურო სასარგებლო და ნაყოფიერ საგნებს. როდესაც ძველი მოთავეები ხელოვნებას და პოეზიას უმთავრეს მნიშვნელობას აძლევენ განვითარებისათვის, ამ დროს ახალი მიმართულება წინ აყენებს მეცნიერულ საგნების შესწავლას, რომელთაც უურო დიდი მნიშვნელობა აქვთ გონების განვითარებისათვის, ეინემ ხელოვნებას და პოეზიას. როდესაც ძველი მოთავეები ერთხელ შემუშავებულ და დამკვიდრებულ შეხედულობას ხატავენ თავის ნაწარმოებში, ახალი მიმართულება ამყარებს თავის განზრახვას და მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის ეხლანდელ სოციალურ განწყობილებაზე და ამის გამო უპირატესობას აძლევს ისტორიულ-ფილოსოფიურსა და სოციალურ-ეკონომიურ ცოდნას, რომელიც საუკეთესო ამხანგელია საზოგადო ურთი-ერთობისა. მაგრამ ეს კითხვები ჯერ-ჯერობით არ არიან საქმაოთ გამორკვეულნი. ყველასათვის სისურველია, რომ „კვალი“ შეიქმნეს ჩვენში სერიოზულ და მეცნიერულ ქურნალათ და მუდამ ჰქონდეს მას სახეში იმ კითხვების შემუშავება და გადაწყვეტა, რომელნიც წამოუყენებია ჩვენში ცხოვრებას და მეცნიერებას. საჭიროა მხოლოდ დინჯი და მოუიქრებულა მსჯელობა, დაულაღვი შრომა და მეცნიერული კვლევა იმ საგნებისა, რომელნიც შეადგენენ ამ ახალი მოძრაობის შინაარსს. ამ გვართ გამორკვეულ ჭეშმარიტებას ექმნება, რა თქმა უნდა, საყოველთაო მნიშვნელობა, და ახალ მიმართულებასაც მიეცემა უურო მტკიცე და ფართო ხასიათი.

ამიჯომ თითოეული ჩვენგანი მოვალეა შეძლების დავართ დაენმაროს ახლანდელი ცხოვრების უმთავრესი მხარეების ახსნას და იმ საზოგადო შეხედულობის დადგენას, რომელიც წარმატების გზაზე გამოიკვანს ჩვენი აზროვნების მსეღელობას...

მ. იესეშვილი.

ს უ ლ ი

**მ**იღით-კიდემდ ის დაძრწოდა შეწუხებული და ვერ გავიდა მისაყრბობი, თავ-შესაფარი! ერთ წას მოვიღოდა ქვესკნელ-ზესკნელს ზღვა-სა და ხმელეთს, ცხებ-გალავან-კოპყებს თავზე მოვიცლებოდა, ტაძართ გუმბათებს, სამრეკლოებს აველას შინაგედა, ხან ცას ეყვროდა, ხან ქვეყანას ეფინებოდა.

თვალ-ცრემლიანი დაჰმედევდა წინანდელ ბინას, —ღვაწლით მოსილის დიდებულ გემს—აწ ჩინახათ ქვეულს, შემცოადესავით, თავ-დაზრილი გახრდებოდა, კრძალვით უმზერდა მის სვეტაქ შუბლს ზეცით კურთხეულს. რისთვის უმზერდა? ნუ თუ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ იქ გავიდა სამეფამო სამყოფს-სადგური? არა და არა!... მწუხარე სულს სურდა ეამნა ქვეყნის აუკარგი დიდი ხნიდან ნასმენ-ნახული... კარგით იცოდა,—დიდ-სულლოვნის სვეტაქმა გულმა საშუაში ფიქრი სამარეში თან ჩაიტანა.

ეს იყო გმირის სამშობლოის ბედ-უბედობა, სა„ხო—არაო! მწელ სათქმელი ზმნა-გამოცანა... „ხო ითქვა, მაგრამ... აზატობას ჩვეული ძეგლი სა-მარე შიაკი შეირაყ, მიწა დაღარა მისი შეილსა, ლალსა სამამკოთ ნაზარდ-ნაწუართისა, გლოვის ზარიგით ჩაწედა ყურში სხვათა ნაღარას...

შეიძრა ჩონჩხი გაცოცებულს, პატროსან მყერდს საშხამ სანაღლოთ დაუარა ბასრმა დანამა, და სამუდამით დახუტულმა გმირის თვალგემმა მიწათ ქვეული ორა დაწვი კიდევ დანამა...

და დღეს, როდესაც იმის საუკლეც აველა აღიდებს, სულაც მათ შორის ურინარათ ნაფარობს, ფრინავს მსურს უთხრას რამე სანუფემო დანაცრებულ ძეგლებს, მაგრამ ვერ შედგას... ენა გემის, წუხსის და მგმინავს... თქვას თუ არა თქვას?! არა, ისევე ღმე მილი უჯობს; დღე, სხვამ უთხრას თავის ქვეყნის ჭირი და ლხენა, იმის წმინდა გულს, მწარე ფიქრით ასე მოწამლულს მკურნალ მაღამით მოხედეს მინც მშობლული ენა! „იარე, გმირო! დაიწუნარე ძირითო-ლვაჯე ძეგლები: შენ წმინდა ანდერძს მტკიცეთ იცეს შენო ქვეყანა!

და შენც მსაჯულო, შორს განფანტე შევი ფიქრები: ქართლის აკანთან კელავ გაისმის დედისა ნანა!...—ღსახა სულმა დიდებული გმირის სამარეს აფრინდა მაღლა, მთავრე-გარსკლავით უთხრა რა-დაცა... და ას წელწოდს უბნაობა, ქრწოლმა, მწუხარე სამკვიდრო ბინით აიხრია მოლოყარულ ცა!..

განგედილო,



მ თ ე ზ ი ა.



### ილია სერებრიაკოვი

(ოქრომჭედლიშვილი)

† ნეკროლოგი.



ანერის 3 გადაიკვალა თფილისში ცნობილი მრეწველი და ქველ-მომქმედა, ილია სერებრიაკოვი 62 წლისა. ის იყო შვილი სიღნაღელი ქართველი ოქრომჭედლისა, რომელსაც რუსულათ გადაეცეთებინა გვარი (სერებრიაკოვი). სიყმაწვილეშივე დაობლებული ცხოვრება ერთი ნათესაის ოჯახში, იოსებ აღმურავისას, და თითქმის სკოლა არც კი ენახა. იყო შვიგირდით ერთ ფარჩეულის დექანში თამაშმოვის ქარვასლაში, მთელი დღე ხელში ადლი ეჭირა. ბუნებითი ნიჭი და სწავლის ხალისი მუდამ ამუშავებდა მას, არშინთან ერთათ წიკნსაც მოჯდომდა და კითხულობდა. ამისთანა ყოფაში, დუქანში წვალებით და ტანჯვით ვარჯიშობდა რუსულ ენაში და მის შემწეობით სხვადასხვა პირველ და საშუალო სასწავლებლის სამეცნიერო სახელმძღვანელოებს კითხულობდა და ითვისებდა. ცნობისმოყვარეობამ და სწავლის ხალისმა დააახლოვა ის იმ დროს თფილისის ინტელიგენტ ყმაწვილთაობას, რომელმაც წაახალისა და ცოტადელონისძიება მისცა პეტერბურგს წასულიყო, გიმნაზიის კურსის ეგზამენი დაეჭირა და უნივერსიტეტში შესულიყო 1859, თუ 1860 წელს. წასვლამდე დუქანში იჯდა თვეში 15-20 მან. ჯამაგირით.

ეწია საწადელს. შევიდა უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, სომხურ-ქართულთათრულ ენების ნაწილზე. ამ დროს ის ისმენდა სხვა ფაკულტეტების ლექციებსაც და ფრანგული ენა შეისწავლა, გაჭირებაში იმყოფებოდა. თფილისიდან დაპირება იყო დახმარებისა, მაგრამ ქართველურათ ასრულება. ამის გამო სტაპენდის ძებნა ეჭირებოდა ლეიზოვნა კიდევ. დაასრულა ოთხ წელიწადზე. იმ დროს აწვანსვენებულმა პეტრე ნაკაშიძემ მას გადასცა თავისი ადგილი მოსკოვში ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის მასწავლებლისა.

მასწავლებლათ იყო, როგორც გეახსოვს, 1886 წლამდე და შემდეგ ვადასცა თავისი ადგილი ახლანდელ პროფესორს ალექსანდრე ხანანაშვილს. დიდი ჯამაგირი ქართული ენის მასწავლებელს იქ არა აქვს, სულ 1000 მანეთამდე იქნება. განსვენებულს, მოძრავე ხასიათის პატრონს, არ აკმაყოფილებდა მხოლოდ მასწავლებლობა, ამ სამსახურთან ის სხვა-შრომას საჭიროებდა და კიდევაც ხელი მიყო ვაჭრობა-მრეწველობას.

„ქართველ კაცს ნივთიერი გამდიდრება ეჭირებება, თვითონაც ირგებს და სხვასაც არგებსო“. ამის-

თანა აზრით შეუდგა და მეცადინეობამ უქმათ არ ჩაუარა. დაუახლოვდა მოსკოვის მოვაჭრეებს (ლ. მარტოვიძე) წველებს, შვირთო იქაურა ქალი. როგორც გონიერმა მრეწველმა, მშრომელმა და ანგარიშიანმა კაცმა, მოსკოვის საზოგადოებაში მოიპოვა პატივისცემა. საქმეები წარმართა და საკმაო სიმდიდრე შეიძინა.

სიმდიდრე შეიძინა, მაგრამ გული აქეთ ჰქონდა. „ცოდნა, გამოცდილება, სიმდიდრე შევიძინე და ჩემ ქვეყანაში უნდა მოვიხმაროვო“. დაანება საქმეებს თავი მოსკოვში, გაჰყიდა, რაც ჰქონდა, გადმოვსახლა ცოლშვილით თფილისს იმ აზრით, რომ აქ სამრეწველო საქმე დაეწყო და ბოლოს ხე-ტყის საქმეს დააღდა. აიღო იჯარით სამეგრელოში ცხენის წყალზე დადიანის ტყე. მას აფრთხილებდნენ მეგობრები, უკულტურო ადგილს დიდი შრომის, დიდი კაპიტალის ჩაყრა მოუხდებდა, დაილუპებდა, როგორც მის წინათ მომუშავე იჯარადრებს მოუხედათ, მაგრამ არ გაუკონა. საქმე ის არის უკულტურო ადგილს კულტურა გაუაჩინოთო“. შეუდგა გაბედვით მუშაობას და შეაღია თავისი ქონება. ცხენის წყალზე ხე-ტყის ჩამოსატანათ კლდეები უნდა გაეჭრა. პირველ ხანში მარტო ამ საქმეს მოუხდა 30-40 ათასი მანეთი. ფიცრების დასახეხნათ ქარხნის გამართვა ესაჭიროებოდა. დაღდა ქარხანა და მცირე ხანში დაეწვა დაუზღვეველი. გზები იყო გასაყვანი მთა-ტყეში და მისი მოწყობა; ესეც დაამთავრა. მაგრამ დიღმა ნიაღვრებისაკან წახდენამ ხელმეორეთ გასაკეთებელი გაუხადეს, ქარხანა დაეწვა და მეორეთ უკეთესი გააკეთა ელექტრონის სინათლით.

ერთი სიტყვით იმისთანა მიყრუებულ ადგილს, საცა კაცის მოძრაობა არ ჩანდა, მოძრაობა გააჩინა. მთელი თავისი ქონება ჩააბნია და გაჭირებაც კარს მიადგა; მაგრამ მისმა ძლიერმა ზეჯითობამ, მედგრობამ დაძლია დიდი დაბრკოლება ბუნებისა და თვით ადამიანისა. საქმე სიკეთისაკენ გამოტრიალდა.

ქვეყნის წარმატება და წინსვლა თუ ვაჭრობის და მრეწველობის წარმატებასთან არის შეკავშირებული, მისი მუშაკნი და ხელისშემწყობნი ქვეყნის მოღვაწეთ უნდა აღვიაროთ. ამ გვარი მოღვაწე იყო განსვენებული.

მასთან მისი მოღვაწეობა სხვა გვარიც იყო. ის იყო ერთი უწარჩინებულესი დამხმარე მოსწავლეთა რუსეთში და საზღვარგარეთ. არავინ იცის, რამდენი კაცი გამოიზარდა. ვიცით ყურ-მოკერით, ხან ვისგან, ხან ვისგან, რომ მე მეხმარებოდაო.

მწერლობაში განსვენებულს ცოტა აქვს ნაშრომი: 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ დასტამბა ორი წერილი, ერთი სომეხთა კონსტიტუციასზე და მეორე ვაგანკოვაცზე სომეხთ ისტორიულ მწერა-

ლზე, 1881 წივერიაში ქართულ-ანბანის შემოღებაზე ამტკიცებს, რომ ქრისტიანობამდე საქართველოში წიგნი უნდა ყოფილიყო. შემდეგ 1885, თუ 1886, გაზეთ «ივერიაში» ისტამბულა ფელეტონათ არაკი. წერაზე უმეტესი მისი დახმარება შეეხება სტამბის საქმეს. მისი სურვილი იყო, ქართული კლასიკების გამოცემა და ამისთვის გადაღებული ჰქონდა 6000 მ. ერთი წიგნი „ვისრამიანი“ დასტამბა, შემდეგ დაბეჭდა ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი, დაუჯდა 5—6 ათას მან. ეს ორი წიგნი შემოწირა წერაკითხვის საზოგადოებას, რომლისაგანაც თანხა უნდა შედგეს ჩვენი კლასიკების და საზოგადოთ გამოჩეულ მწერალთა ნაშრომის დასასტამბათ.

სამუდამო სტენის განახლების დროს 1880 წელს თეატრს შეწირა 1400 მანეთამდე.

წინამძღვრისანთ სამეურნეო სკოლას პირველ გაჭირებულ დროს ექვსასი თუმანი შეაწია.

მოსწავლეთ და გაჭირებულთ მოსკოვში მისგან მრავალჯერ ხელი გაუმართათ და მარტო მათ კი არა, სხვისა და თავის თავის შემკმელ ნაცნობ-მეგობრებსაც ბევრჯერ კლანჭი გაუკრათ მისი კეთილი და მეგობრული გულისა და საუნჯისთვის.

პ. უ.

### მგზავრის შენიშვნები

ქ. მ ი უ ნ ხ ე ნ ი.



სუჩა. არას დროს ისე არ მინატრია პოეტური ნიჭი, მკითხველო, როგორც ახლა. ვიღებ კალამს, მინდა ქალაქ მიუნხენზე ჩემი შთაბეჭდილებანი გადმოგცე, მაგრამ... მაკარი ის არის, რომ პოეტი არა ვარ და არ შემეძლია. გაგიკვირდება, მრწამს, იტყვი, უბრალოთ, დაბიურათ გადმოგვეციო. ცდები, ძალიან ცდები: მიუნხენზე „დაბიურათ“ ლაპარაკი შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ მიუნხენი ლამაზია და ყველაფერს, რაც ლამაზია, ლამაზათ აღწერა, ლამაზათ გამოხატვა ეჭირება. წარმოიდგინეთ, რომ ლამაზი ქალისსურათს ვინმე მწერალი ამ გვართ გარდმოგცემს: მას აქვს ლამაზი თვალები, ლამაზი ცხვირი, პირი, კბილები, ლამაზი თმა, საზოგადოთ ლამაზი პირის სახე, ლამაზი ხელები, ლამაზი წელი, სულ მთლათ ლამაზი ტანი, აცვია ლამაზი კაბა, ერთი სიტყვით ყველგან და ყველაფერი სულ ლამაზი და ლამაზი... გაიცინებთ განა? სასაცილოცაა.

ასეა მიუნხენის შესახებაც. მიუნხენი ლამაზია... მაგრამ არა, ეს ტყუილია, შეცდომაა: მიუნხენი ლამაზი არაა. ქვეყანაზე ლამაზი ბევრი რამეა და მიუნ-

ხენი სხვა სილამაზეში შესარევი, შესაერთებელი არაა. მას სულ სხვა გვართ უნდა ვისწავნიდეთ. „ლამაზიაო“, — მარტო ამის თქმა არ კმარა. სილამაზე შედარებითი შემეცნებაა. კუზიანთან შედარებით ფეხმოგრებილიც ლამაზია, უცხვიროს გვერდით ბრუციანიც შევნიერია. მიუნხენი... მიუნხენი კი ლამაზთა ლამაზია, შევნიერია შევნიერია, კეკლუცთა კეკლუცია...

რა აქვს მიუნხენს ლამაზი? უმაღლრი ხართ ამ კითხვისათვის! ჯერ ეს მითხარით, რა აქვს ულამაზო? მას ყველაფერი ლამაზი, ყველაფერი შევნიერია აქვს. მისი სილამაზე უნაკლულოა, სრულია.

არ გჯერათ? დაეკითხეთ თვით მიუნხენს! ის მოგცემს პასუხს. მარა ის შორიდან არ გიპასუხებს, — უნდა ესტუმროთ, რამოდენიმე ხანი მასთან დაჰყოთ, რომ მან თვისი შევნიერება გიჩვენოს და გაგაცნოს. მიუნხენი ეშმაკია, მან იცის თავისი ყალბი, იცის თვისი ფასი და აპიტომ უცებ თვალწინ როდი გადაგეშლებათ, არამედ კეკლუც მოარშიყე ქალსავით თან-და-თან გიჩვევს, თან-და-თან თვისკენ გიზიდავს, ჟინს გირვიძებს და ამ გვართ აფორიაქებულს შემდეგ თავისგან გისტუმრებათ. „ახლა წაბრძანდით, გეუბნებათ, და, თუ კი შეიძლება, დამივიწყეთ!..“ დარწმუნებულია, რომ ვერ დაივიწყებ.

მიუნხენი ხომ ქალაქია და „დაბიურათ“ რომ ეთქვათ, ქალაქი შენობათა გროვაა, — განა? შეიძლება ეს სხვა რომელიმე ქალაქის შესახებ მართალიც იყოს, მარა მიუნხენზე კი — არას დროს! გროვაცაა და გროვაც, — il y a fagot et fagot. საქმე იმაშია, თუ როგორი გროვაა. აი, ამით ამაცობს მიუნხენი, რომ მას თითქმის ყველაფერი ისე აქვს, როგორც სხვას, მარა ამევე დროს არც ისე აქვს. ის, რაც სხვისას არ ჰკავს, ნამდვილი მიუნხენია, დანარჩენი კი — რომელი ქალაქიც გნებავთ, სულ ერთია. რა არის ეს ის? ეს მიუნხენის სილამაზეა.

აი, გასაჯეთ. მიუნხენს, როგორც ყველა ქალაქს, ქუჩები აქვს. ცხადია, ქალაქი უქუჩოთ შეუძლებელია. მარა მიუნხენის ქუჩა სულ სხვაა, — მას მიუნხენის ბეჭედი ასეა. დადებით ერთი ქუჩის თავში და გაჰხედეთ, — ქუჩა ალყასავით პირდაპირ გაყვანილია, არც მინგრეული, არც მონგრეული, არც შეზენიული და არც ჩაზნექილი, არამედ სწორი იატაკით. გაიარეთ გინდ ტროტუარზე, გინდ შუა ქუჩაში, საცა გნებავთ, — არც ტალახი და არც მტვერი არ გაგვრისთ. მიუნხენს თქვენთვის უზრუნვეია, ქუჩები მოუკირწყლავს. დიდი ღეთის წყალობა იქმნებოდა, ქართველ ქალს სახლში იატაკი ისე დაგვილი და სუფთა რომ ჰქონდეს, როგორც მიუნხენის ქუჩაა. მიუნხენის ქუჩებში მუდამ მწმენდავები დგანან

—ქუჩებს სწმენდენ, ასუფთავებენ. აბა რა მტვერი უნდა დადგეს მოკირწყლოლ ქუჩაზე, მარა, მიუხედავთ ამისა, მიუნხენის ქუჩა მუდამ ირწყვება. მე თქვენ გითხრათ და წყალი არა აქეთ! როგორ გგონიათ? ქუჩას მიუნხენში რწყავენ არა მარტო მზიან დღეში, არამედ წვიმიან დღეებშიაც! გიკვირთ ხომ? მეც გამიკვირდა. მივდივარ ერთ წვიმიან დღეს ქოლგა ხელში გაშლილი მიჭირავს და ვხედავ, — ქუჩის მრწყევლს მოუშლია კრანისთვის თავი და ასხამს წყალს დაუზოგველათ. გაჩერდი და ბევრი ვიცინე „რას ჩალი ამას? დავეკითხე მუშას. „ვერ ხედავ, ქუჩას ერეცხო?“ მომიგო მან. მოდი და ნუ გაიკვირებ! ჩვენში ქალები სახლის იატაკსაც არ რეცხენ და აქ ქუჩის გარეცხაც კი საჭიროთ მიაჩნიათ! „ახლა მესმის, რისთვის არ ეშინია მიუნხენელს ქამის და ხოლერის, გავიფიქრე გულში და განვაკრძე გზა. — რაღა საკვირველია, რომ მოკირწყლოლი და ამასთან მორეცხილი ქუჩა სუფთა და ლამაზი იყოს. დადინხართ ასეთ ქუჩაზე და თავს რაღაც მჩატეთ გრძობთ: სიარული არ გეზარებათ. გზის სილამაზე გიტაცებთ, სიარულის ხალისს გიღვიძებთ და გინდათ, რომ სულ იართ და იართ...“


შენობები? შეხედეთ: თითქო სულ უბრალო შენობაა, არც ძალიან დიდი, არც პატარა. შემოუღებ არეთ ყოველ მხრიდან, ათვალისკრეთ, — შენობაა და შენობა, მარა ამ შენობას თან ახლავს რაღაც, რომელიც თქვენ ყურადღებას იზიდავს. ეს რაღაც — კიდევ უნდა გავიმეოროთ! — სილამაზეა. სწორათ გალესილი კედლები, ლამაზათ შეღებილი, სუფთა, ისეთი სუფთა რომ გგონიათ საპნით ურეცხიათო. დაიარეთ მთელი მიუნხენი, — ვერ ნახავთ ვერც ერთ სახლს, რომელსაც, ერთი რა არის, ერთი აგური მომძებრალი ჰქონდეს, ან კირი ჩამოცივნიული, ან კედელი გახუნებული, გაშავებული. ყველა შენობა გუშინდელ აგებულსა ჰგავს, ისე ახლათ, ისე სუფთათ გამოიყურება. მარა მიუნხენისთვის ესეც არ კმარა. კიდევ უფრო ლამაზი უნდა იყოსო. იმისთვის მრავალ შენობების კედლებზე სხვა და სხვა სურათები დაუხატავთ. აბა ნუ შეხედავ, ნუ შიაკეცე ყურადღებას, თუ შეგიძლია! მიდიხარ ქუჩაში და თან კედლებს შეცქერის ნახატებისთვის თვალი ვერ მოგიშორებია. გაიარეთ მიუნხენში, — ახალ მოსულ უცხოელს ერთი შეხედვით იცნობთ: იგი შუა ქუჩაში გაჩერებულა და კედლებს ათვალისკრებს...

მიუნხენს გემო აქვს, მკითხველო, გემო და ეს ცოტა საქმე არაა. ბევრ სახლებს აქ წინ ეზოები აქვს. ეს ეზოები სიკრცით პატარაა, — განი შენობის სიდიდესა და მოკიდებულია; ხოლო ერთი საყენი ან ბევრი საყენ ნახევარი იქნება. წინ რკინის ღობეა

გაველებული. ასეთ პატარა ადგილზე, აბა, რის დარგვა და გაშენება შეიძლება? მარა სახლის პატრონი ამას ახერხებს, რგავს პატარა ხეებს, თესავს ყვავილებს, მცენარეებს, შუაში ამოჰყავს წყლის შადრევანი ამ შადრევანთან დგამს პატარა ქანდაკებს, ერთი სიტყვით აშვენიერებს „ეზოს“... და ყველა ეს გაკეთებულია არა უწეს-რიგით, არა არეულ-დარეულათ, არამედ მწყობრათ, სიმეტრიით, გემოვნებით. მაგალითი: სახლის წინ შადრევანი წყალს ჰაერში ისვრის; ზევით ასროლილი წყალი შაპუნით ისევ ქვევით ჩამოდის. აქ პატარა ბავშვის ქანდაკებაა გაკეთებული და ეს წყალიც მას კისერზე ესხმება. ბავშვს მხრები ზევით აუწევია, თავი კისერში ჩაურგავს, სახე მოდრეჯია, — ჩანს წყალი ცივია, მას ზურგში ჩაუდის და ვერ უძლებს სიცივეს... ეს ისე საკვირველი ხელოვნებით არის გამოხატული, რომ უყურებთ და თვალი ვერ მოგიშორებიათ, ქანდაკების ხელოვნურათ შექმნა გავიწყდებათ და ჰფიქრობთ, რომ თავმოებზრებული ბავში, ეს ეს არის, დაიყვირებს, ან გადმოხტება და გაიქცევაო... ან და: ერთ ბავშვს პირში წყალი დაუგუბებია და მეორეს ასხამს კისერზე. პირველი იცინის, მეორე კი მოჯღღუნულა და კისერზე ხელს იფარებს... — უბრალო რამეა განა? უბრალო რამეა, მხოლოდ გემოვნებით გაკეთებული და ამისგანა ამ უბრალო, პატარა რამესაც თვისი წვლილი შეაქვს მიუნხენის საერთო სილიმაზეში.

კერძო სახლების, კერძო ადგილების დაშენება, რასაკვირველია, კერძო კაცთ თაოსნობის ნაყოფია. თვით ქალაქს ხომ მრავალი ძვირფასი ქანდაკებანი და ძეგლები აქვს აგებული. მრავალი შადრევანები, ბაღები, სასეირნო, გასართობი ადგილები. და ყველა ეს მიუნხენური სილამაზით და ეშხით არის გაკეთებული.

ყოველ ფეხის გადადგმაზე აქ ძეგლს და ქანდაკებს ხედავთ. აგებულია მეფეების, გამოჩენილი მწერლების, მამულის შესანიშნავ შეილებს სახლოერათ, გადახდილ და მოკებულ ომთა მოსაგონებლათ, ეროვნულ გმირობას საჩვენებლათ. მრავალი ამ ძეგლებში მეტათ უზარ მახარია. მაგ. ძეგლს Bavaria-ს რომელიც აგებულია Fheresienwiese-ზე, 19 ფუტზე მეტი სიმაღლე აქვს და არის დადგმული მაღალ პიედესტალზე. შიგ შესასვლელათ და დასათვალისკრებლათ კიბეებია გამართული. ამ კიბეების შემწვობით ახვალთ ძირიდან სულ თავამდის, თუმცა ძალიან კი დაიღალბით. ძეგლის თავში ორი სკამი დგას, რეა კაცი თავისუფლათ დაეტევა. თავს პატარა ნახერტი აქვს დატოვებული, რომ იქ შესვლელ ხალხს ჰაერი შეუდიოდეს. ამ ნახერტში გარეთ გამოყოფილი ვაჟკაცის მკლავი ძირს მდკომ აღამიანს



ძღუძუწოვარა ბავშვის მკლავით ეჩვენება, ისე მალა-  
ლია ძეგლი. ძეგლის გვერდით უშველებელი ლომი  
დვას; ეს — ბავშვის ძლიერებას ნიშნავს ..

მარა... თავს ეაწებებ აღწერას. აკი გითხარით,  
პოეტი არ ვარ — მეთქი. არ დამაჯერეთ! დაბიოთ  
თქვიო და ამა ესეც „დაბიო!“...

და რა? მე თუ მითხანეთ, ექვი მაქვს, პოეტის  
აღწერითაც რომ შეიძლოთ მიუხედავად ნამდვილი  
წარმოდგენის შედგენა. მიუხედავად შეწერების გა-  
საკებათ, მისი ძლიერების საგრძობელათ საქაროა,  
როგორც ეთქვიო, თვით ნახოთ მიუხედავად და ყვე-  
ლაფერი საკუთარი თვლით იხილოთ. რაც უნდა  
იყოს, სინამდვილე სხვაა და აღწერა კიდევ სხვა.  
აღწერა იმის მეთადგენსაც ვერ გაგრძობინებთ, რამ-  
დენსაც სინამდვილე.

ესტუმრეთ მიუხედავად, გაიარ-გამოიარეთ ქალაქში  
— ვერ გრძობთ, რომ „უცხოეთში“ ხართ, „უცხო“  
ქალაქში დადინართ. უცხოა გარეგნობით, რადგან  
არაფერში ჩვენებურ ქალაქს არა ჰგავს, მარა გული  
კი, ის რაღაცა, რაიცა გრძობის სალაროს, გრძო-  
ბის საწყობს შეადგენს, თქვენთვის ღიაა, გაშლილია.  
ისე გითვისებთ და გიგუებთ, როგორც თვისიანს  
და კიდევ მეტათაც. არ გესმისთ, ვერ შეგვიგნათ,  
თუ როგორ ხდება ეს, ჰარა გრძობით კი გრძობთ,  
რომ ეს ასეა. აბა, დააკვირდით, თქვენი მასელით  
თათქვას ყველა და ყველაფერი ხარობს: ხე, ბალახი,  
ქუჩა, კედელი და თვით ადამიანიც კი. რასაკვირვე-  
ლია, ხარობთ თქვენც, სიამოვნებაში ხართ, რომ ისეთ  
სილამაზის სამეფოში ჩამოვარდით, გული ჩვეულებ-  
რივზე მაგრათ გიცემსთ, გუნება რაღაც ნაირათ გე-  
ცვლებათ, დაღერმილი და მოწყენილი უცებ მხი-  
არულდებით და ეს მხარულდება გარეშემო არემა-  
რებდაც გადაგაქეთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში თქვენ  
გრძობათ ანალიზს არ უშვებთ და ილიუზია სი-  
ნამდვილეთ მიგაჩნათ. ყველაფერი ხარობს, ყველა-  
ფერი იცინის, თითქვას შენ გიყურებს და თვისკენ  
გიატიყებს: „მობრძანდი, მობრძანდი, ფიქრი ნუ  
გაქვს, მე გულ დახშული არა ვარ, გულ მკერდში  
მიგიკრავ, მარტობას და სამშობლოს მოშორებას  
არ გაგრძობინებო. მოდი, ჰა, უკან-უკან ნუ იწე-  
ვიო...!... და თან ილიმება და ილიმება. შენც ილიმე-  
ბი, დადინარ და სულ ილიმები... რა გალიმებს?  
აბა, რა იცი! გუნება გეძლევა ასეთი. როცა ლამაზი  
ცქრიალა ქალი გიცინის, ბროლის მსგავს კბილებს  
აჩენს, თვალებს ეშმაკურათ ატრიალებს, აბა ამ დროს  
რა აგატირებსთ, ან რა დაგადარდიანებსთ! დარდი და  
ვარამი ამ დროს სულ დაგაფიწყლებათ და სასიამოვნო  
გრძობის მონა გახდებით. ასე მოუდის მიუხედავად  
მნახველსაც. მას მოწყენილობა ეკარგება, შუბლზე

ღრუბელი ეფანტება და ხდება ისე მხიარული, რო-  
გორც მთელი მიუხედავად.

ეთქვათ, მთელი დღე იმუშავეთ, სალამოს ქამს  
თავს დაღალულათ გრძობთ, ზიხართ სახლში მოწყე-  
ნილი, ან საზოგადოთ ცუდ გუნებაზე დამდგარი. —  
აი, წამალი: გამოდით გარეთ, გაიარეთ, ტყვილა გა-  
იარეთ მიუხედავად ქუჩებში, შეხედეთ გაბღლილე-  
ბულ ელექტრონის ფარებს, შემდეგ დააცქერდით  
ქუჩაში მოხიარულე ხალხს, გააყოლეთ თვალი ქუ-  
ჩის მოძრაობას და ნახეთ, თუ როგორ შეგეცვა-  
ლოსთ გუნება. ყველაფერი ბრწყინავს, პრიალებს,  
ყველაფერს მოლიმარე სახე აქვს, თქვენც სახე გაგი-  
ნათლდებათ, ის, რაც გულზე ლოდით გაწვით და  
გაწუნებდათ, აგწმეებათ, ამძიმებული ისე ამხატდე-  
ბით და ღიღინით გაუღებთ სახლისკენ გზას. ასე-  
თა მიუხედავად გაეღენა. ყოველ სტუმარს მიუხედავად  
ეუბნება: „აქ მოწყენილობა აკრძალულია.“ და  
მართლაც აკრძალულია...

სადიდებელია მიუხედავად შემქნელი ერი. ის  
ერი, რომელმაც მიუხედავად შექმნა, რას ვერ შექმნის  
და რას ვერ მოიმოქმედებს?! მაგრამ...

მაგრამ ისა, რომ შეეცდი, მგონია... ეთომ მი-  
უხედავად ადამიანის ხელთ ქმნილია? არა, უეჭველათ  
შეეცდი. მიუხედავად ადამიანის ხელს არ შეუქმნია.  
რასაკვირველია, შენობები და ქუჩები ადამიანის ხელთ  
ქმნილებათ, მარა ის რაღაცა, რომელიც მიუხედავად  
სულს და გულს შეადგენს, ადამიანის ხელს არ შე-  
უქმნია. რა არის ეს „სული და გული“, სად არის  
იგი? ქუჩებში, შენობებში? არა. სკოლებში, სწავ-  
ლა განათლების საქმეში, ჟურნალ-გაზეთში ან წიგ-  
ნებში? არა და არა. მიუხედავად ხელოვნების ქალაქია  
და იქნება ის, რასაც ვეძებთ, მხატვრობაში მოიპო-  
ვებოდეს? არც აქა. მაშ სად არის? იქნება ეს საზო-  
გადოთ მიუხედავად სილამაზეში მოიპოვება? ეს კი  
მართალია. მხოლოთ მიუხედავად სილამაზეს ორი  
მხარე აქვს: ერთი არის ხელთ ქმნილი, — ქუჩები,  
სახლები და მათი სიმეტრიულათ დაწყობ-აგება და  
მხატვრობით დაშენება; მეორეა არა ხელთ ქმნი-  
ლი, არის თვით ადამიანი და ეს ადამიანი — ნუ გი-  
კვირთ, მამა-კაცი არაა — ეს ადამიანი მიუხედავად ქა-  
ლია. იგი აძლევს ცხოველ მყოფელ ძალას მიუხედავად  
ნის შეწინებებს, ის არის მიუხედავად სულის ჩამდ-  
გმელი, მაცოცხლებელი. მოაშორეთ მიუხედავად იქა-  
ური ქალი, მის ადგილას სხვა ქალი დასვით და —  
გაქქა მიუხედავად, ის აღარ არსებობს, მოკვდა... რას  
ნიშნავს „მოკვდა?“ იმას, რომ ის აღარ იცინის,  
შუბლი აღარ ეშლება, მოწყენილობის ღრუბელი  
ეთარება, წინანდულათ აღარ ბრწყინავს, აღარ პრი-  
ალებს. მოაკლდა რაღაცა, რაც მას ეშხს აძლევდა,

ელვარებას ჰფენდა ამხიარულგებდა, მთელ არსებაში სიცოცხლის ნექტარს უსხამდა და უსულო ქალაქს სულიერათ ჰქმნიდა. მოაკლდა მიუნხენელი ქალი. ვინ და რა არის ეს ქალი? გავიარ-გამოვიაროთ მიუნხენში, მივაველ-მოვაველოთ ქალაქს თვალის და მასაც გავიცნობთ დაწვრილებით.

ფ. ჰატჩიშვილი

მეცხვარის ნაამბობი.

ქ ს კ ი ზ ი

**მ**ართ წელს ჩემი ცხვარი გავრეკე იმერეთისკენ საბალახოთ, იქ, სადაც დიდი ხინათის ზურგი გამოდის კავკასიის ქედიდან და ჩაუყვება სურამისკენ. აქეთ გორის მახრავში წონა-ერწოს მინდვრები დაფინებდა; იქით საიმერეთოში დიდი ხინათის სერების ფერდობები ჩაეშვებინან უფსკრულში, საიდანაც მოისმის გრგვინვა-ჩქრიალი დაუდგარი ყვირილისა. ციცაბო კლდეებ შორის შევნიერი საბალახოებია. თიბათე-მკათათეში აქ კიდევ თოვლი წვეს ნაპრალებში, რომლის საწოლებიდან ნორჩი ხეები იზადებან. ამ ალაგებში შევნიერთ გრილა და ცხვარიც მადიანათ ძოვს ცივი მთის ხეებით მორწყულ ნოყიერ ბალახს. შორიდან შევნიერი სანახაობაა, როცა ცხვრის ფარა ლამაზათ შეეფინება მწვანე ხავედით მოგებულ მწვერულის ფერდობებს.

ძირს ჯურღმულში ნაძვის ტყეებით იყო ჩამოვებული ის არე-მარე; შიგ ალმასის გველებსავით მისრიალებდენ მთის ხევის წყლები და გაჰქონდათ ხულიო. ბერი ალაკი მინახავს წყალ-ბალახით შემკული; მაგრამ ხინათის სერების შნოსთან და იქაურ წმინდა ჰაერთან ვერც ერთი ვერ მოვა. ძირს ერთი ხევის პირთან დავეცი კარავი მე და ჩემმა ამხანაგებმა; იქვე დახეხრეთ განიერი საფარეოები და ზაფხულის სიგრილეზე ჩვენ ყოფნას არა შეედრებოდა.

ორ კვირას შემდეგ ჩემი ამხანაგები წაიღ-წამოვიდენ მატყლის გასაყიდათ. ჯერ ცხვრები არ დაგვპარსა. დავრჩი მარტო ცხვარში ჩემი ნაგაზებით. ერთი ნაგაზი მყავდა, ყურშას ვეძახოდით, ისეთი ღონიერი და ავი იყო, რომ მგელი ვერ წაეკარებოდა. საკვირველი გონიერი ძაღლიც იყო: აეკულის და მავნეს არ გაატარებდა ჩემ სიხლოვეს. მეც მის ამარა არაფრის მეშინოდა. დილ-დილაობით წავივრეკდი ცხვარს თეთრი წყლის ფერდობზე. იქ კარგი საბალახე იყო ცხვრისათვის. თეთრი წყალი იმიტომ ერქვა, რომ ღრმა ხევში უზარმაზარი თოვ-

ლის ფთილა ერთი ვერსის სიგძეზე ჩაწოლილიყო და მის საწოლიდან გამოდიოდა ერთი ხევი, რომელსაც თოვლის გამო თეთრ წყალს ეძახოდენ. მეც საღამომდის ჩემ ცხვართან ვიყავი ხოლმე; ყურშა კი, როცა ფარა ძალიან გაიშლებოდა, გასწევდა, დაუვლიდა თავს და ერთათ შეაქუჩებდა; სხვა დროს კი გვერდით არ მშორდებოდა. მე სერზე გავწვებოდი ხოლმე პირდაპირ მზეზე და იქიდან ძირს ხეობაში ჩვენი კარავი და ფარები ხელისგულივით მოჩანდა ხევის პირზე. როცა საღამოს ცხვარს წამოვასხამდი, ფარებში შევრეკდი და მე კარავში შევიდოდი, საკვირველი ამბავი დამხვდებოდა. ერთხელ შევედი თუ არა კარავში, იქ ცეცხლი დამხვდა კერაზე ანთებული. რა ექნა? ადამიანი არავინ დამიტოვებია კარავში, ეს ცეცხლი საიდან გაჩნდა — მეთქი? — გავივლე გონებაში, თითქოს თავში შიშის ზარმა გამკრა ზე თმა ამებუძვა. მივიხედ-მოვიხედე, არავინ არის; დავჯექი კერასთან და კიდევ უფრო საკვირველი რამე შევნიშნე; ცხვრის კანჭი მქონდა ვახშმათ მოსამზადებელი, ის კაკვზე მკედა და ახლა შევნიშნე, რომ შამფურზე იყო წამოგებული და ცეცხლზე შიშინებდა. კარებისკენ მივიხედე და ჩემ ყურშა-ძაღლს ყურები დაუცქვეტია, თვალები დაუღია, ერთ კუთხეს მიჩერებია და იღრინება. გავიხედე იმ კუთხისკენ... რას ნახავს ჩემი თვალები!.. ერთი შევნიერი ქალი ზის, პისგან ისეთი თეთრი შუქი გამოკრთის, რომ ანგელოზის ბრწყინვალეობას აჩრდილებს. ყურშა ეტანება შინ შემოსასვლელათ, თითქოს იმ შუქმფინარ ქალს ერჩისო. მე არ ვუშვებ, არ მინდა ძაღლმა ერჩოლოს. მისმა შევნიერებამ შემიპყრო და გამაშტერა. ძაღლი კი სულ შინ ეტანებოდა. ამ ბრძოლაში რომ ვარ, ქალმა კუთხიდან წამომძახა: „ეს კარავი მე არ დაგისუფთავე, ეს ვახშამი მე არ მოგიმზადე, რათა ხარ ვგრე გულცივი, არ გინდა, რომ კერასთან მიმიპატიყოვო“ — ისეთი ნარნარი ხმით მითხრა, რომ ცაში რეკასავით მესმოდა. მე ვუთხარი, მე არ გიშლი?.. რატომ არ მოხვალ, შენი ნება არ არის — მეთქი? — არაო, მე თან ქალიშვილი მყავს, ისიც თუ არ მოვიყვანე, ისე კერასთან ვერ მოვალო“. — რატომ? ისიც თან მოიყვანე — მეთქი — ვუთხარი. ადგა, მოვიდა კერასთან და მწვადიანი შამფური ხელში დაიჭირა, ცეცხლზე აბრუნებდა. მას გვერდით პატარა ქალი უჯდა. ორივე ისე ანათებდენ, თითქოს ცის ვარსკვლავები ჩემ კარავში ჩამოჭრილიყონ. — დავსხვდით ერთათ, პური ეჭამეთ, ძელები ყურშას გადუყუარეთ. ის მუდამ გარეთ იღრინებოდა, შინ კი აღარ შემოვიწვი. შუქმფინარი ქალი და მისი ქალიშვილი ვახშამ შემდეგ ჯარასავით დაბზრილდენ, ჭურჭელი მიალაგ-მოალაგეს, კერა ჩამოხვეტეს და ისევ კერასთან დას-

ხდენ. მე ვიყავი მთელი ღამე გაშტერებული, ერთ ადგილიდან ვეღარ დავიძარი. ჩემ თვალებს იმ ღამეს ძილი არ მიჰკარებია. დედაშვილის სილამაზემ ისე შემბოხებდა, რომ სულ იმათ ვუსტკერადი და მათი შუქის ფრქვევით ვტკბებოდი. ასე მეგონა, ჩემ კარავში მთავარე დამქათქათებდა-მეთქი. ირაყ-რაყა თუ არა, შუქმფინარი დედა და შვილი გაქრენ, კუნჭულში მიიძალენ. მე გარეთ გამოვედი. ჩემი ყურშა ძალლი აღარ ღრინავდა. ის იწვა ფარების წინ და ელოდა ჩემ გამოსვლას. გამოვრეკე ცხვარი ფარებიდან და დილის სიგრილეზე ფარა გაიშალა ხინათის ფერდობის ნაპრალებში. მეც სერზე ავედი და იქიდან რომ გადმოვიხედე, ქვეით ხევში დავინახე, რომ იმ დედა ღ შვილის ქვაბი მიჰქონდათ კარავიდან წყალზე წამოღებული ჭურჭლის დასარეცხათ. ამ დროს უეცრათ ხევიდან გამოვიდა ორი დიდი მგელი: ერთმა დედას წააელო პირი, მეორემ შვილს და გააქანეს შავ-ტყეში. მე ამას სერიდან ვუყურებდი და გული მიკედებოდა. მოვრთე ქაქანი, ყვირილი, ვუტყევებდი ყურშას, ვანიშნებდი თითოთ ხევში ჩემ ძალლს; ისიც ყურებ დაცქვეტილი იქითკენ იცქირებოდა, თითქოს უნდოდა რამე დაენახა, მაგრამ ვერას ხედავდა და მე ეს კიდევ უფრო მამრავებდა. ბოლოს ის გაწვა ჩემ გვერდით და მთქნარება დაიწყო. მე გული ამიჩუყდა, თვალეზე ცრემლები წამომადგა. რა დემართა ამ ჩემ ფხიზელ ძალლს, რომ მგლებს ვერ ნიშნავს — მეთქი — გავიფიქრე; იქნება მოჯადოებული ვიყავით ან ის, ან მე; მაგრამ არც ეს მჯეროდა, რადგან თვალ წინ მიდგენ შუქმფინარი არსებანი, მათი წივილ-კივილი მესმოდა, მგლებს რომ კისერზე მოგვდო ისინი და ტყისკენ მიიძუნძულებდენ; მეტის მეტი მწუხარებისაგან თვალი დამიბნელდა, გული წამივიდა, მუხლები ჩამეკეცა და ერთხანს ვეგდე უგრძობლათ. აღარა გამიგიარა. არ ვიცო, რამდენ ხანს ვიწექი ასე, მერე თვალეები რომ გავახილე, ჩემი ყურშა თავს დამდგომოდა ღ წმუკუნებდა. როგორც კი გამოვლიძებული დამინახა, მაშინვე მოკურცხლა ცხერის ფარისკენ. მე ხეზე წამოვარდი და ჩემი კომბლით იქითვე გავეშურე. შორს ძალლებს ყეფვა ისმოდა, ცხვარი გადაღმა ხევში მოგროვილიყო შეშინებული. თურმე ჩემ ძილში მართლაც მგელი მიპარვოდა ფარას, ძალლებს შეეტყუოთ და შემოსეოდენ, ცხვრებზე არ უშვებდენ. თურმე ჩემ ყურშას მკედარი ვეგონე, კანი ეწვოდა სიბრაზისაგან, რაკი ნადირის სუნი ეცა, მაგრამ მე მაინც მარტო ვერ დავეტოვებინე.

რაკი დარწმუნდა, რომ ცოცხალი ვიყავი, მერე მოკურცხლა მგლისკენ და ერთ წამში კისერზე შეახტა: მისი ღონიერი ღრენა და ყეფვა იმ ხვეს აყრუებდა. მის მისვლაზე სხვა ძალლებიც გაღონიერდენ, მხნეობაც მოემატათ, ალყა შემოარტყეს მგელს და ყველანი ერთათ წაესიენ; სანამ მე მივუსწრებდი, მგელი კიდევ გავგუდათ. ჩემი ყურშა ქეჩო, აქაჩილი, კუდ აკრაკნილი ღრიალებდა, თითქოს გამარჯვებას დღესასწაულობდა ნადირზე. ის დღევ დაღამდა და ჩემი ფარა-ცხვარი კარავში ჩამოვრეკე, ფარებში დავამწყვდიე და ქონში შევედი: ახა, ღმერთო!.. — კიდევ ანთებული ცეცხლი დამხედა, მაგრამ რათ გინ-

და. შუქმფინარი ქლის მაგიერათ ახლა კარავში ერთი გროვა იმნაირივე ქალები იყო, რომელთაც თქვენს თქვენი თმები გავშალათ, გულმკერდი გამოვჩინათ, ტიროდენ, კიოდენ და თან მაყვედრიდენ, „რაუყავი ჩენნი დედაკაცი და მისი ქალიშვილიო? რათ გაატანე მგლებს, განა მისთვის გამოგვიგზავნეთ, რომ ყური არ გვედო და ნადირისთვის გავეტანებო. მე შემეშინდა, სულ გავფითრდი. შუქმფინარი ქალის გროვამ უცბათ აიღო კერიდან მოკიდებული ნიგუზლები და შემომიტყის: „უნდა დავწვათ, თუ ჩენნი ქალი და მისი შვილი არ მოგიყვანიო“. შიშისაგან სული აღარ მედგა, მოვიდა ჩემი აღსასრულის დღეც-მეთქი-გაველე გონებაში. ამ მწუხარებაში რომ ვიყავი და სიმწრის ოფლი შუბლზე მასკდებოდა, ჩემი ყურშაც საღაცა გადამემალა, მოადგა კარავთან ერთი ნათელ მოსილი ცხენოსანი; მისმა თეთრმა ცხენმა დაფრთქინა და ეს შუქმფინარი ქალები, რომელნიც ანთებული ნიგუზლებით თავზე დამტრიალებდენ, მიირეკ-მოირეკა. ცხენოსანმა შემომძახა: ჰაი, ნუგეშინია, ვგენი მანე სულეზია. ჰა, ეს მათრახი, მანდ კედელზე მიჰკიდე, სანამ მე მოვიდოდე; ნუგეშინია, აწ ვგენი ვერას გვენებნო! მეც ამ სიტყვებმა გამამხნევეს; გამოვართვი მათრახი და კედელზე მივკიდე. შუქმფინარი ქალები ამას შემდეგ დაწყნარდენ. მას აქეთ მე ყოველ დღე ცხვარში დავდიოდი; ყოველ საღამოს შინ კარავში ვბრუნდებოდა, საცა ყოველიფერი მილაგებული დამხედებოდა, ცეცხლი კერაზე გაჩაღებული, ვახშამი მომზადებული. შუქმფინარი ქალები ჩემ კარვის კუნჭულებში ისხდენ თმაგაშლიონი, მათი კენესა-წუწუნი მარტო გულს მღონებდა. ისინი ხშირათ მეხეწებოდენ: „აიღე მათრახი მაგ კელიდან და გარეთ გადაადე, თუ გინდა ვიძღვროთ და ყოველნაირი სიამოვნებით დაგატკობთო“. მე მათ არ ვუჯეროდი. ამ მდგომარეობაში ვიყავი რამდენიმე დღე, ბოლოს მოვიდა ისევ ის ნათლითმოსილი მხედარი და შემომძახა: „მოიტა ეგ მათრახა, აწ აღარა გიშავსრა, შენი ამხანაგები მოგიდიანო“. მე მაშინვე მივართვი მათრახი. ნათლითმოსილი მხედარი თავისი რაშით გადაეელო ჩაბურთულ ხეობას და გაჰქრა. გამოვიხედე გარეთ და მართლაც ჩემი ამხანაგები დავინახე. ჩემ გულს მათი ნახვა იამა, მარა უძილობ-საგან ისე მიქანცული ვიყავი, რომ ფხვზე ვეღარ დავდექა და იქვე კარავში გავინართხე. ამხანაგებმა შემომძახეს: ჰა, შე მუხდალო, ნუ გეშინიაო. მეც მოვუყევი ჩემი თავდადასავალი. იმათ მითხრეს, ღმერთი შეკწევია, მანეებს ჩაუგდინხარ ხელში და ლომისის წმინდა გიორგის გაღურჩენიხარო ამხანაგებმა ცხვარში აღარ მამყოფეს, შინ წამიყვანეს.

ჩემი მოხუცებული დედა კარზე გამომეკება და რომ დამინახა, შემომკვილა: „შვილო ეგ რა დემართნია, მიწას ფერი გადევს, აგრე რამ შეგაწუხაო“. მე ხმა ვეღარ გავეცი სისუსტე-საგან. იმ დღიდან რომ ლოგინში ჩავეარდი, ორი თვე აღარ ამდგარვარ. ხეზე რომ წამოვდექი, დედამ მიამბო ჩემი მძიმე ავადმყოფობა: თურმე სულ მამოდებდა და ხშირათ ვეხვეწებოდი ლომისის წმინდა გიორგის, მიშველე, ეს ქალები რას მომსვეიან ნიგუზლებით!... მომამოარეო.

მე სულ აღარა მახსოვდარა ჩემი ავთომყოფობისა. ეს კი ვიცი, რომ მე და ღვინა ჩემი წავედით იმ წელს ხატობაზე ღამის სათევით და ლომისის წმინდა გიორგის ერთი ჭედილა (ერკემალი ცხვარი) მივეგვრეთ გამოსალოცავით.

**გ. წერეთელი.**

უმართებულესი სენატის განმარტება სიზნების შესახებ.



გოგონა გვწერენ შერკბურდიდან, წაქსულ ნაგებებს, უმართებულეს სენატს, თანხმად გავკახის მთავარ-მართებლის აზრისა, განუმარტავს გავკახის მკამულეთა და სიზნებისათვის ფრად საყურადღებო გითხვა. გლეხები, რომლებიც არსებობათ, თავის მდგომარეობით სიზნები არიან, მაგრამ თავად-აზნაურთა მამულზე არა ცხოვრობენ, უნდა ითვლებოდნენ სიზნებათ თუ არა?

უმართებულესმა სენატმა გააკვირა, რომ ამ გითხვის გადასატყულებლად მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებათ: „სიზნები ყოველთვის შეადგენდენ თავისუფალ მდგომარეობის მექონეთა კლასს; სიზნებას, როგორც განსაზღვრულ ფორმას მამულით სარგებლობისას, არასოდეს არ შეუქმნია მკამულესა და მიწის მოქმედ — სიზნის შიშის შიშადობის დამმარტებელი ურთიერთობანი; მაშასადამე არავითარი საფუძველი არა გვაქვს, სიზნებსაც ისევე ვუყურებთ, როგორც ნაყვებს ანუ დროებით ვაღდე უღ გლეხებს. ნამდვილათ კი, სიზნება წარმოადგენს ერთგვარ არენდას (იჯარას), რომლის პირობებიც განისაზღვრებიან ამიერ-კავკასიის წესი ჩვეულებით. ის გარემოება, რომ მკამულე ასახლება თავის მიწაზე მიწათ-მოქმედებელ სიზნებს, თავის და თავათ კიდევ არ ნიშნავდა ამ უკანასკნელთა პირველის საკუთრებათ გადაქვეყნას. თუ გლეხთა რეფორმადის სიზნები ეახლებოდნენ მეპატონეთა მიწებზე ე. ი. იმ მიწებზე, რომლებიც შეადგენდენ უმარტესი წოდების საკუთრებას, ეს იმიტომ, რომ იმ დროს მიწათ-მფლობელობის უფლება თითქმის მთლელათ ამ წოდების ხელში იყო, მაგრამ პატონ-ყმობის მოსპობას შემდეგ მეტათ ვითარლება მიწის საკუთრების ერთი ხელიდან მეორე ხელში გადასვლა; მიწათ-მფლობელებათ ვხედავთ ისეთებსაც, რომლებიც არ ეკუთვნიან უმარტესობის მექონე წოდებას. ამასთანავე, აშკარაა, რომ მიწის საკუთრებასთან ერთათ ერთი შიშადან მეორე შიშზე გადადიოდა აგრეთვე ვეკლას ის სერვიტუტები (ვაღდეულებანი) და ხელშეკრულებანი, რომელნიც კი ვადით, თუ უვადით, შეერთებულნი იყვენ ამ საკუთრებასთან. ამ გვარ ქონებრივ უფლებათ უნდა მივანეროთ ამიერ-კავკასიაში არსებული მიწათ სარგებლობაც, რომელიც დაფუძნებულია

და სიზნების ჩვეულებაზე და რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მიწის მესაკუთრის შიშად უფლებებთან და მდგომარეობასთან. სიზნის უფლებანი მიწის შესახებ და მისი მოვალეობანი მესაკუთრის მიმართ დაფუძნებულია ჩვეულებაზე და ეს უფლება-მოვალეობანი მიწასთან ერთათ გადადანი ერთი მესაკუთრისა და მეორე, ხოლო სიზნები ამ უკანასკნელთან ე. ი. ახალ მესაკუთრეთა ურთიერთობაში რჩებიან, როგორც ქონებათ მის წინა მონადგილესთან; მაგრამ ეს მთლელათ იმ შემთხვევაში, როცა სიზნებს და ახალ მესაკუთრეს შიშის არავითარი განსაკუთრებითი მოკიდება ამ საგანზე არ მომხდარა“. („Кавказ“ 97 წ. № 335).

ქართული თეატრი.  
 კვირას, 11 იანვარს 1898 წ.  
**საზოგადოებრივ სურვილით**

I  
 სამზალისი  
 სცენები პეტრე უმიგაშვილისა  
 II  
 ძუ ნ ვ ი  
 კომედია 2 მოქ. გიორგი ერისთავის  
 მონაწილეობენ: ქ-ნი: გამყრელიძისა, გარეჯისა; ბ-ნი: გ. აბაშიძე, სვიმონიძე, ადამიძე და სხ.

III  
 კომლი უცეცხლოდ  
 დრამ. სუკათი თავ. გ. მ. შარვაშიძის მიერ.  
 მონაწილეობენ: ე. ს. მესხი, ვარგარელი, კ. მესხი, სვიმონიძე, ვანდელაძე, ადამიძე და სხვა.

ხუთშაბათს, 15 იანვარს ბენეფისი ქ-ნ კარგარელისა ქართული დრამატული დასისაგან წარმოადგენილი იქნება ახალი პიესა.

**ინჟინერი თუ დოქტორი**

კომედ. 4 მოქმედ. თხზ. ქ-ნ აზნანისა  
 მშვენიერი ელენეს მაძიებელნი  
 ჭაქსი 2 მოქმედ. ვადმოკ. ა. ცაგარელის მიერ  
 მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა გამყრელიძისა, კარგარელისა, რჩეულოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სვიმონიძე, გვარამიძე, ადამიძე, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია  
 დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი გ. მესხი.  
 რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.